საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4748/01
10/05/2022

4748-01-2-202205101300

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი წერილის (#34-342211922 29.04.2022) პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელში მდებარე 195 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების საკითხს. გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილის (#21/1462 03.05.2022) თანახმად, წარმოდგენილი ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება არხები. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს არხის გასხვისების ზოლის მოთხოვნები, რომელშიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19. პ.1.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2. პ.1-2.) თანახმად მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2. პ.7.) თანახმად, გასხვისების ზოლის სიგანე აითვლება მაგისტრალური და სხვა არხების კიდიდან ორივე მხარეს და გასხვისების ზოლის სიგანედ დადგენილია არანაკლებ 4 მეტრი.

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ” საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე